საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია

2800 ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37 Lanchkhuti@yahoo.com

N 5102
29/10/2019

5102-09-2-201910291629

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს**

**ბატონო ბესიკ,**

გეგზავნებათ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მომზადებული დამატებითი განმარტებითი ბარათი განსახილველად.

**პატივისცემით,**

ალექსანდრე სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახური

2800 ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37 Lanchkhuti@yahoo.com

N 2052
29/10/2019

2052-09-3-201910291541

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს

ქალბატონ მაგული კუნჭულიას

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის

დამატებითი განმარტებითი ბარათი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბერს N2010 განკარგულებით მუნიციპალიტეტს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 500000 (ხუთასი ათასი ლარი), რომელიც მიიმართება მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებზე 90590 ლარი და არსებული ხიდების მოწყობაზე 404910 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარულებაში შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 ოქტომბრის N2125 განკარგულებით კერძოდ შემცირდა გზების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხა 1337 ლარით.

ააიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის მომართვის საფუძველზე სამსახურს მიზანშეწოლილად მიაჩნია, რომ ოფისის ხარჯის 570 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 570 ლარით; ააიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო საამღზრდელო ცენტრის სახელფასო ფონდის 24000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 21200 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლი 2800 ლარით. განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე შემცირდეს კულტურის ღონისძიებების პროგრამა (050202 ორგ. კოდი), ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა (0503 ორგ.კოდი) 1203 ლარით და გაიზარდოს სპორტული ღონისძიების პროგრამა (050102 ორგ.კოდი) 1803 ლარით.

სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის სამსახურის მომართვის საფუძველზე შემცირდეს ბიკარბონატული ჰემოდიალეზით თირკმლის ქრონიკული უკმარისობის დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამის (060201 ორგ.კოდი) 1000 ლარით და გაიზარდოს ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა (060214 ორგ.კოდი) 1000 ლარით.

ააიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 22360 ლარით. აღნიშნულის ზრდა განხორციელდეს ბიუჯეტში ჯარიმებისა და საურავების გეგმის ზრდის ხარჯზე 22360 ლარით.

პატივისცემით,

თამაზ იმედაიშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური